


ანგარიში ბიომეურნეობების — 2021  
შესახებ

# საქართველო



ანგარიში საქართველოში  
ბიოლოგიური  
აგროწარმოებისა და  
სასურსათო ინდუსტრიის  
შესახებ.

Gefördert durch



Bundesministerium  
für Ernährung  
und Landwirtschaft

BÖLN

Bundesprogramm Ökologischer Landbau  
und andere Formen nachhaltiger  
Landwirtschaft

aufgrund eines Beschlusses des  
Deutschen Bundestages

EKOconnect

# ანაბეჭდი

გამომცემლობა  
იოახიმ ლენცი,  
კლაუდია ნოიმანი



EkoConnect e.V.  
Schützengasse 16  
01067 Dresden  
[www.ekoconnect.org](http://www.ekoconnect.org)

ავტორი  
ჰაინც გენგენბახი  
(<https://www.agriservices.de/>)

თარგმანი  
გერმანიის ეკონომიკური  
გაერთიანება საქართველოში  
(DWV).

გამომცემლობა  
EkoConnect e.V.

დიზაინი  
[whateverworks.biz](http://whateverworks.biz)

Gefördert durch



Bundesministerium  
für Ernährung  
und Landwirtschaft

BÖLN

Bundesprogramm Ökologischer Landbau  
und andere Formen nachhaltiger  
Landwirtschaft

aufgrund eines Beschlusses des  
Deutschen Bundestages

## Disclaimer

აღნიშნული ანგარიში შემუშავდა გერმანიის სურსათისა და  
სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსებით, კერძოდ  
28210E001 პროექტის ფარგლებში.

აღნიშნული ანგარიში მომზადებულია ავტორთა მოსაზრებებისა  
და ცოდნის საფუძველზე. მიუხედავად ამისა, ანგარიშის  
სიზუსტეზე, სისწორესა და მასში მოყვანილ ინფორმაციის და  
მონაცემის სისრულეზე გარანტიას ვერ უზრუნველყოფს.

# სარჩევი

|                                              |   |
|----------------------------------------------|---|
| A საქართველო: ციფრები, მონაცემები და ფაქტები | 3 |
|----------------------------------------------|---|

|                           |   |
|---------------------------|---|
| B ბიოსექტორი საქართველოში | 8 |
|---------------------------|---|

ისტორია  
საქართველოს კანონი ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ  
ხელშეწყობი ინსტრუმენტები  
ასოციაციები და მარკეტინგული ორგანიზაციები  
ბიოსერტიფიცირება  
კვლევა და კონსულტაცია  
განათლება და გადამზადება  
დონორი პროექტები

|                           |    |
|---------------------------|----|
| C ბიოლოგიური აგროწარმოება | 15 |
|---------------------------|----|

სერტიფიცირებული მწარმოებლები  
არასერტიფიცირებული მწარმოებლები  
ორგანული ნედლეულის ექსპორტი  
ნებადართული მასალების იმპორტი

|                                                         |    |
|---------------------------------------------------------|----|
| D ბიოპროდუქტების გადამამუშავება, წარმოება და რეალიზაცია | 20 |
|---------------------------------------------------------|----|

ბიოსერტიფიცირებული კომპანიები  
ბიოპროდუქტების იმპორტი

|                          |    |
|--------------------------|----|
| E საქართველოს ბიო ბაზარი | 23 |
|--------------------------|----|

ბაზარზე არსებული ბიოპროდუქტები  
ბაზრის მოცულობა და ტენდენციები  
რეალიზაციის არხები და ბაზრის მოთამაშეები  
ონლაინ მაღაზიები

|                             |    |
|-----------------------------|----|
| F შესაძლებლობები და რისკები | 26 |
|-----------------------------|----|

სავაჭრო პოტენციალი  
საინვესტიციო გარემო  
ძლიერი და სუსტი მხარეები

|                                     |    |
|-------------------------------------|----|
| G დასურათების და მასალების წყაროები | 28 |
|-------------------------------------|----|

Map of Georgia showing administrative regions and their names in Georgian:

- აფხაზეთი (Abkhazeti)
- სამეგრელო-ზემო სვანეთი (Samegrelo-Zemo Svaneti)
- რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი (Racha-Lechkhumi-Khemo Svaneti)
- იმერეთი (Imereti)
- მცხეთა-მთიანეთი (Mtskheta-Mtianeti)
- შიდა ქართლი (Mida Kartli)
- თბილისი (Tbilisi)
- კახეთი (Kakheti)
- ქვემო ქართლი (Khemo Kartli)
- აჭარა (Ajara)
- სამცხე-ჯავახეთი (Samtskhe-Javakheti)

Surrounding areas and bodies of water:

- რუსეთი (Russia) - North
- სომხეთი (Armenia) - South
- აზერბაიჯანი (Azerbaijan) - Southeast
- საქართველო (Georgia) - Center
- შავი ზღვა (Black Sea) - West
- თურქეთი (Turkey) - Southwest

# ეკონომიკა

## 14.377 ლ

მშპ ერთ სულ მოსახლეზე (2021, ნომინალური)<sup>3</sup>

## 18,5 %

უმუშევრობის მაჩვენებელი (2020)<sup>4</sup>

## 3,8 %

ინფლაციის მაჩვენებელი (2021)<sup>5</sup>

## 63,9 %

ეროვნული ვალი (მშპ-ს %, მთლიანი, 2021)

## 1.278,5 ლ

მთლიანი, ლარი / თვეში, წლიური საშუალო (2019)

# სავაჭრო ურთიერთობები

— მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობა: 14 ივნისი, 2000წ.

თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობა:

- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება (DCFTA) ევროკავშირთან (ძალაშია 2016წ. 1 ივლისიდან);
- EFTA ( ისლანდიასა და ნორვეგიასთან 2017 წ. 1 სექტემბრიდან, მხოლოდ ლიხტენშტეინსა და შვეიცარიასთან 2018 წ. 1 მაისიდან);
- ორმხრივი ხელშეწყობების სანახავედ იხ. [www.wto.org](http://www.wto.org) (↗).<sup>6</sup>

ევროკავშირი - საქართველოს ურთიერთობები (მილიონი ევრო)

|               | 2018    | %    | 2019    | %    | 2020    | %     |
|---------------|---------|------|---------|------|---------|-------|
| ევრ. იმპორტი  | 633,7   | -2,9 | 655,1   | 3,4  | 767,6   | 17,2  |
| ევრ. ექსპორტი | 2.045,4 | 7,3  | 2.008,0 | -1,8 | 1.587,2 | -21,0 |
| ბალანსი       | 1.411,6 |      | 1.353,0 |      | 819,6   |       |

გამოსახულება 2: ევრ.27 საგარეო ვაჭრობა (დამრგვალებულია)

გერმანია-საქართველოს ურთ. (მილიონი ევრო)

|                | 2018  | %    | 2019  | %     | 2020  | %     |
|----------------|-------|------|-------|-------|-------|-------|
| იმპორტი გერმ.  | 72,6  | -3,3 | 59,7  | -17,8 | 93,1  | 56,0  |
| ექსპორტი გერმ. | 359,1 | 4,5  | 403,4 | 12,3  | 316,2 | -21,6 |
| ბალანსი        | 286,5 |      | 343,7 |       | 223,1 |       |

გამოსახულება 3: საგარეო ვაჭრობა (დამრგვალებულია)

გერმანიიდან იმპორტირებული საქონელი SITC-ის მონაცემებით (2020\* / %)

|                                          |      |
|------------------------------------------|------|
| სურსათი                                  | 35,1 |
| ტექსტილი / ტანსაცმელი                    | 22,2 |
| მექანიკური სატრ. საშუალებები და ნაწილები | 21,7 |
| სასმელები / თამბაქო                      | 3,1  |
| სხვა სატრანსპორტო საშ.                   | 2,5  |
| ნედლეული (საწვავის გამოკლებით)           | 2,4  |
| ოქროს                                    | 2,4  |
| ქიმიური პროდუქტი                         | 2,0  |
| კაუჩუკის ნაწარმი                         | 1,5  |
| რკინა და ფოლადი                          | 1,1  |
| სხვა                                     | 6,0  |

გამოსახულება 4: გერმანიიდან იმპორტირებული საქონელი SITC-ის მიხედვით (მთლიანი იმპორტის %-ი)


3 GEL 13.208 (2020)

4 ოფიციალური მონაცემი: 17,6 % (2019)  
არაოფიციალური მონაცემი: 35,0–40 % (დამოუკიდებელი ექსპერტები)

5 5,2 % (2020)


6 სავაჭრო საკითხები, რეგიონალური სავაჭრო ხელშეწყობები, მონაცემთა ბაზები, ქვეყნების / რეგიონების მიხედვით.

მთავარი იმპორტიორები  
(2019\*\* / %)



გამოსახულება 5: Germany Trade & Invest, 2021

მთავარი საექსპორტო ბაზრები  
(2019\*\* / %)



გამოსახულება 6: Germany Trade & Invest, 2021

## კლიმატი

მისი ადგილმდებარეობიდან და ლანდშაფტიდან გამომდინარე, საქართველო შეიძლება დაიყოს ორ კლიმატურ რეგიონად, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოდ. დასავლეთ საქართველო ხასიათდება ტენიანი, სუბტროპიკული კლიმატით, ზომიერი ზამთრითა და საშუალოდ ცხელი ზაფხულით. საშუალო ტემპერატურა იანვარიდან ივლისამდე დაახლოებით 5 – 22 °C გრადუსამდე მერყეობს და საშუალო ნალექი 1100-დან 1700 მმ-მდე წელიწადში. ჭარბი წყლის დრენაჟი ქვეყნის ამ ნაწილში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება

მშრალი, სუბტროპიკული კლიმატი, ცივი ზამთრითა და მშრალი, ცხელი ზაფხულით. საშუალო ტემპერატურა იანვრიდან ივლისამდე -1 – 22 °C გრადუსამდე მერყეობს, ხოლო საშუალო ნალექი 500-დან 1100 მმ / წელიწად. ნალექების დაახლოებით 80 % მოდის მარტიდან ოქტომბრამდე, სეტყვა უმეტესად გაზაფხულზე და შემოდგომაზე მოდის. ყველაზე გრძელი მშრალი სეზონი დაახლოებით 50 – 60 დღეს გასტანს და ქვეყნის ამ ნაწილში გვალვებიც არ არის იშვიათი მოვლენა. 800 მმ-ზე ნაკლები ნალექის მქონე რაიონებს უსაჭიროებათ სარწყავი წყლები.

\* წინასწარი მონაცემი, პროგნოზი

\*\* 2020წ. მონაცემი UN Comtrade-იდან, გამოქვეყნებისას ჯერ არ იყო ხელმისაწვდომი.

# მიწათსარგებლობა

საქართველოს საერთო ფართობი 69700 კმ²-ია. ეს უხეშად უდრის ირლანდიის ან ბავარიის ტერიტორიას; დაახლოებით 12500 კმ² ან ტერიტორიის 18 პროცენტი, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტურ ზონებს წარმოადგენს.

საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 40% დაფარულია ტყეებით. ქვეყნის მთლიანი ფართობის 43,4 % (30,300 კმ²) გამოიყენება სოფლის მეურნეობაში (2005 წ.). წლიური კულტურები იზრდება 209.9 ათას ჰექტარზე (საქსტატი, 2020 წ.), მრავალწლოვანი კულტურები იზრდება 109.6 ათას ჰექტარზე

(საქართველოს სოფლის მეურნეობის აღწერა 2014 წ.).

შეფასებულია, რომ მოსახლეობის 40.5 % ცხოვრობს სოფლად და მთლიანი სამუშაო ძალის 47% არის დაკავებული სოფლის მეურნეობაში (საქსტატი, 2014). ეს არის უპირატესად, საარსებო სასოფლო-სამეურნეო მეურნეობები მთელი ქვეყნის მასშტაბით, დაბალი შემოსავლითა და პროდუქტიულობით, მცირე მეურნეობები და შეზღუდული ნაკვეთები. სოფლად ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სიმინდის, ყურძნის, ციტრუსოვანი ხილის, ქვის ხილისა და თხილის მეურნეობა და

საქონელბრუნვა სოფლის მეურნეობაში (არსებული ფასები / მილიონი ლარი)

|                               | 2015    | 2016    | 2017    | 2018    | 2019    | 2020*** |
|-------------------------------|---------|---------|---------|---------|---------|---------|
| მთლიანი სოფლის მეურნეობა      | 3 884,3 | 3 882,7 | 3 724,5 | 4 552,8 | 4 834,6 | 5 471,7 |
| მემცენარეობის პროდუქცია       | 1 642,5 | 1 590,4 | 1 456,8 | 2 067,7 | 2 159,5 | 2 471,3 |
| მეცხოველეობა                  | 1 981,3 | 2 002,2 | 2 015,5 | 2 197,9 | 2 411,1 | 2 618,7 |
| სოფ. მეურნ. დაკავშ. სერვისები | 260,5   | 290,1   | 252,2   | 287,1   | 263,9   | 381,7   |

გამოსახულება 7: საქსტატი, 2020, \*\*\* წინასწარი მონაცემი, პროგნოზი



გამოსახულება 8: ცერცვის კულტივაცია კახეთში



გამოსახულება 9: გალური ვარდი უხვად ყვავის კახეთში

სასოფლო-სამეურნეო კულტურების კულტივირებული ფართობი (ათასი ჰექტარი)

|                                  | 2020  | სამუდამო მოსავლიანობა<br>(100 კგ / ჰა) |
|----------------------------------|-------|----------------------------------------|
| სულ დამუშავებული ფართობი         | 209,9 | n/a                                    |
| სულ თესლი და პარკოსნები          | 159,6 |                                        |
| ხორბალი                          | 47,4  | 23,3                                   |
| ქერი                             | 25,3  | 20,7                                   |
| სიმინდი                          | 82,4  | 27,8                                   |
| ლობიო                            | 4,5   | 7,8                                    |
| სულ კარტოფილი, ბოსტნული და ნესვი | 31,5  |                                        |
| კარტოფილი                        | 15,9  | 117,9                                  |
| ბოსტნული                         | 12,7  | 100,4                                  |
| ნესვი                            | 2,9   | 251,0                                  |
| სხვა კულტურები                   | 18,5  | n/a                                    |
| წლიური ბალახები თივისთვის        | 2,4   | 45,6                                   |
| მრავალწლიანი ბალახები თივისთვის  | 10,3  | 37,8                                   |
| სხვა ერთწლიანი კულტურები         | 6,1   | n/a                                    |

გამოსახულება 10: საქსტატი, 2020


მუდმივი კულტურები (2017 / ათასი ჰექტარი)

|                       |      |
|-----------------------|------|
| მეხილეობა             | 47,8 |
| კენკრა                | 1,0  |
| მევენახეობის ადგილები | 36,1 |
| ციტრუსები             | 8,9  |

გამოსახულება 11: საქსტატი, 2020



გამოსახულება 12: ქართული საუზმე



გამოსახულება 13: ბროწეული საქართველოში პოპულარული ხილია

# ბიოსექტორი საქართველოში

## ისტორია

1990-იანი წლების დასაწყისში, საქართველოს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, უკვე არსებობდა ურთიერთობები ისეთ ორგანიზაციებთან, როგორიცაა პური მსოფლიოსთვის და ჰაინრიხ ბიოლის ფონდი კავკასიაში. მევენახეთა ჯგუფი 1994 წელს გაერთიანდა და ჩამოაყალიბა ასოციაცია ორგანული სოფლის მეურნეობისთვის, ელვანა. ელვანა პრო-აქტიურმა მუშაობამ გამოიღო ორი მნიშვნელოვანი შედეგი:

- კანონის მიღება საქართველოში ბიოლოგიური აგროწარმოების შესახებ;
- შპს კავკასიურის დაარსება, რომელიც პირველი დამოუკიდებელი კომერციული ორგანიზაციაა საქართველოში, სერტიფიცირების უფლებამოსილებით.

## ეროვნული ბიო-კანონმდებლობა

საქართველოში ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებები არიან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მის დაქვემდებარებაში არსებული სსიპ-ი სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. აღნიშნული ცენტრი თანამშრომლობს, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე კერძო სექტორთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. (↵)  
ბიო სოფლის მეურნეობის სერტიფიცირების

სისტემის ელვანა 1998 მიერ დანერგილი სტანდარტები და წესები, რამდენჯერმე განახლდა და გადამუშავდა და დღეს უკვე დიდწილად შეესაბამება ევროპულ ნორმებს. ისეთი გერმანული ორგანიზაციები, როგორებიც არის ევანგელური განვითარების მისია (Evangelischer Entwicklungsdienst), პური მსოფლიოსთვის (Brot für die Welt), შინ მოვლის დიაკონური სამსახური (Diakonische Werk) და მისერეორი (Misereor) მნიშვნელოვნად ეხმარებიან ელვანას (Elkana) ექსპერტული ცოდნის გაზიარებითა და ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობით. ევროკავშირის სამართლებრივ რეგულაციებზე და ორგანული წარმოების საერთაშორისო სტანდარტზე (IFOAM) დაყრდნობით, საქართველოს მთავრობამ 2002 წელს მიიღო ბიოლოგიური აგროწარმოების გაიდლაინები. 2006 წელს დაამტკიცა საქართველოს კანონი ბიოლოგიურ აგროწარმოების განხორციელების შესახებ და 2007 წელს მიღებულ იქნა სტანდარტი - ძირითადი მოთხოვნები და წესები ბიოლოგიური აგროწარმოების განხორციელების შესახებ, SST 86: 2007 და ასევე სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის ფარგლებში ნებადართული ნივთიერებების სია. 2013 წელს, საქართველოს მთავრობამ გამოსცა ბიოლოგიური აგროწარმოების შესახებ განკარგულება, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნული რეგულაცია ეფუძნება ევროკავშირის ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის კანონმდებლობას:

- საქართველოს მთავრობის ბრძანება, ბიოპროდუქცია, # 198, 30 ივლისი, 2013 წ. (↵)

## ხელშეწყობი ინსტრუმენტები

ბიოლოგიურ აგროწარმოებასა და მეხეობაში სახელმწიფო მხარდაჭერა, ისევე როგორც ევროკავშირში, სავაჭროდ მცირეა. ამჟამად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მწვანე ეკონომიკის ინიციატივის ფარგლებში, დაიწყო ხუთწლიანი პროგრამა (0,5 მილიონი აშშ დოლარი) ბიო პროდუქტების წარმოებისა და სერტიფიცირების ხელშეწყობის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს

თანადაფინანსებას და საგადასახადო შეღავათებს მწარმოებლებისთვის, გადამამუშავებლებისთვის, აგრეთვე სერტიფიცირებისა და ტექნიკური სწავლების მხარდაჭერას (იხ. სექცია „ბიო სერტიფიცირება“). მხარდაჭერის ღონისძიებების უმრავლესობას ახორციელებენ უცხოელი დონორები, როგორიცაა ევროკავშირი, FAO ან UNDP, ასევე ცალკეული სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების პროგრამები (იხ. სექცია „დონორი პროექტები“).

## კავშირები და მარკეტინგული ორგანიზაციები

### გაშენების ასოციაცია 'ელკანა' (ELKANA)



არასამთავრობო ორგანიზაცია ელკანა, დაარსდა 1994 წლის აგვისტოში. ის მოწოდებულია საქართველოში ორგანული კულტივირებისა და მარკეტინგის განვითარებისკენ. ელკანა ასევე აქტიურობდა საერთაშორისოდ აღიარებული ორგანული სერტიფიცირების სფეროში. არასამთავრობო ორგანიზაცია თავს აფინანსებს საერთაშორისო შემოწმებებით და საწევრო გადასახადებით და 1996 წლიდან არის ორგანული სოფლის მეურნეობის მოძრაობის საერთაშორისო ფედერაციის (IFOAM) წევრი.

აღნიშნული ორგანიზაცია საქართველოში წარმოადგენს ორგანულ ფერმერთა ასოციაციების ქოლგა ორგანიზაციას, რომელიც ჯამში 2021 წლის დასაწყისისთვის შედგებოდა დაახლოებით 649 ინდივიდუალური ფერმერისგან და 68 ორგანიზაციისგან, რომლებიც თავის მხრივ 2500-ზე მეტი ფერმერისგან, მათ შორის 519 ინდივიდუალური წევრისგან შედგება.

ჯამში 50 თანამშრომელი მუშაობს თბილისის სათაო ოფისში, ახალციხეში, რეგიონულ ოფისში (სამხრეთ საქართველო) და წარმომადგენლობითი ოფისებში სამეგრელოში (ზუგდიდი), შიდა ქართლში (გორი), კახეთში (დედოფლისწყარო) და მცხეთა-მთიანეთში (თიანეთი). ელკანა თანამშრომლობს ორ ბუნების დაცვის კომპანიასთან, თელავის მეურნეობასთან წნისში (სამცხე-ჯავახეთი) და მეცხოველეობის ფერმა ზემო ხოდაშენში (კახეთი).

ელკანას პერსონალი აქტიურია სასოფლო-სამეურნეო კონსულტაციებში სახნავ-სათესი მეურნეობის, მეცხოველეობის, ხილისა და კენკრის, ყურძნისა და ღვინის, მეფუტყრეობისა და სოფლის ტურიზმში და ასევე მხარს უჭერს მწარმოებელ ჯგუფებს შიდა კონტროლის სისტემების დანერგვაში. ფერმაში არსებული თემები, როგორიცაა ჭიების კომპოსტი, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, მავნებლების კონტროლი და ა.შ. შეიძლება განხილული იყოს სხვადასხვა საჩვენებელ ნაკვეთებზე. ბიომეურნეობისა და ეკოტურიზმის შესახებ საინფორმაციო მასალის წარმოება ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

ელკანა მხარს უჭერს ფერმერებს მათი პროდუქციის მარკეტინგში და ცდილობს ფერმერები პირდაპირ დააკავშიროს პოტენციურ მომხმარებლებთან. მოსახლეობას უნდა ეცნობოს ორგანული პროდუქტების მაგ. სავსების დეგუსტაციისა და ადგილობრივ გამოფენებში მონაწილეობის გზით. რამდენჯერმე ელკანას წევრმა ფერმებმა შეძლეს თავიანთი შეთავაზებების წარდგენა BIOFACH-ზე (მსოფლიოში ორგანული პროდუქტების უდიდესი სავაჭრო გამოფენა) ნიურნბერგში.

### კულტივირების ასოციაცია SEMA (საქართველოს ეკოლოგიური სასოფლო-სამეურნეო ასოციაცია)



SEMA დაარსდა 2006 წელს და არის IFOAM-ის წევრი 2008 წლიდან. დაახლოებით 104 წევრი ფერმიდან (2021), არცერთი არ არის სერტიფიცირებული Caucasert-ის მიერ. საკონტაქტო პირია ექიმი ბესიკ კალანდაძე. ის კონსულტაციას უწევს ორგანულ ფერმერებს და მათ, ვინც დაინტერესებულია ბიო-პროდუქტებზე გადაქცევით და აწყობს ტრენინგებს და შემდგომ განათლებას. დაფინანსება ხორციელდება პროექტების მეშვეობით.

- ელ. ფოსტა: [ecosema@gmail.com](mailto:ecosema@gmail.com)
- ტელ: +995 593 305 032

### საქართველოს ბიოდინამიკოს ფერმერთა ასოციაცია

ძირითადად მეღვინეებისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც ევლობს Demeter International-ის აღიარების სერტიფიკატს ან მის მოლოდინში არიან. ასოციაციის წევრები თანამშრომლობენ, როგორც Demeter International-თან, ისე KIWA-ს ინსპექტირების ორგანოსთან.



გამოსახულება 14: მამუკა ბლიაძე. არტენის ხეობის გადასახედი

- საკონტაქტო ინფორმაცია: მამუკა ბლიაძე, Demeter- მეღვინე
- ელ. ფოსტა: [m.bliadze@yahoo.com](mailto:m.bliadze@yahoo.com)

## ბიზნესის ხელშეწყობა

### გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV) საქართველოში



საქართველოში DWV დაარსდა 2007 წელს და 2021 წლის მდგომარეობით უკვე ჰყავს 180-ზე მეტი წევრი ეკონომიკის სხვადასხვა სექტორიდან. DWV-ის მიზანია ხელი შეუწყოს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს გერმანიასა და საქართველოს შორის და წარმოადგინოს გერმანული ბიზნესის ინტერესები ადგილობრივად. DWV არის გერმანია-საქართველოს ორმხრივ ეკონომიკურ ურთიერთობებში აქტიური კომპანიებისა და პარტნიორებისაგან შემდგარი საწევრო ორგანიზაცია. ის ასევე წარმოადგენს Messe Frankfurt-ს, მსოფლიოში სიდიდით მესამე სავაჭრო საგამოფენო კომპანიას და ასევე Senior Expert Service (SES), რომელიც ქართულ კომპანიებსა და ინსტიტუტებს ხელსაყრელ პირობებში აწვდის ნოუ-ჰაუს. (↵)

<https://dwv.ge/>

<https://www.facebook.com/dwv.ge>

### Germany Trade & Invest (GTAI)



50-ზე მეტი ლოკაციით მსოფლიოში, Germany Trade & Invest (GTAI) მხარს უჭერს გერმანულ კომპანიებს საზღვარგარეთ მიმავალ გზაზე, ხელს უწყობს გერმანიას, როგორც ბიზნეს ლოკაციას და ეხმარება უცხოურ კომპანიებს გერმანიაში დამკვიდრებაში.

GTAI ასევე იუწყება სამხრეთ კავკასიის ეკონომიკური განვითარების შესახებ (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი). GTAI ქვეყნის გერმანიის საქართველოში (↵) გთავაზობთ უახლეს ინფორმაციას ეკონომიკური გარემოს, ინდუსტრიის განვითარების, იურიდიულ და საბაჟო საკითხებზე, ტენდერებსა და განვითარების პროექტებთან დაკავშირებით.

<https://www.gtai.de>

— რეკომენდაცია: Katrin Kossorz: „Biolandbau in Georgien auf dem Vormarsch“

<https://www.gtai.de/gtai-de/trade/branchen/branchenbericht/georgien/biolandbau-in-georgien-auf-dem-vormarsch-678086>

## ბიო სერტიფიცირება

საქართველოში ფუნქციონირებს რამდენიმე ინსპექტირების ორგანო: შპს კავკასსერტი და KIWA BCS.

ორგანული სერტიფიკაციის კომპანია შპს კავკასსერტი 2005 წლიდან დაარსდა და მისი ძირითადი მიზანია ბიო პროდუქტების კონტროლი და სერტიფიცირება. შპს კავკასსერტი და მისი ანალოგი სომხეთში შპს ECOGLOBE მართავენ დომინანტურ ადგილობრივ ორგანულ ბრენდს 'გრინ კაუკაზუს'. პირველი ორგანული სერტიფიკატები Green Caucasus Standard-ის მიხედვით 2010 წელს ჩატარდა. ECOGLOBE და კავკასსერტის მიერ სერტიფიცირებული პროდუქტები შეიძლება გაიყიდოს როგორც "ორგანული", "ეკოლოგიური" და "ბიო".

ორგანული პროდუქტების სერტიფიცირება შესაძლებელია ოთხ საკონტროლო სფეროში.

- დაუმუშავებელი მცენარეული პროდუქტები მეგრელები ველური მცენარეების ჩათვლით
- ცოცხალი ცხოველები ან დაუმუშავებელი ცხოველური პროდუქტები თაფლის ჩათვლით
- გადამამუშავებული სოფლის მეურნეობის პროდუქტები (საკვები) ღვინის ჩათვლით
- ვეგეტატიური გამრავლების მასალა და თესლი კულტივირებისთვის.

კავკასსერტის საინსპექციო ორგანოს (2021 წლის 09 აპრილი) მონაცემებით, 2020 წლის მდგომარეობით, სულ დამოწმებულია 2158 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საიდანაც 484 ჰა არის გარდაქმნის პროცესში. სერტიფიცირებული კლიენტების რაოდენობაა 72.

ასევე არსებობს ორი სერტიფიცირებული ჯგუფი ჩართული შიდა კონტროლის სისტემაში:

- 23 მეფუტკრე, ჯარის მეფუტკრეთა ასოციაცია (JBA) (↵)
- 195 თხილის ფერმერი, CaucasNut Association (↵)

## ინფო

### შ.პ.ს. კავკასსერტი

<http://caucascert.ge/en/home>



### შ.პ.ს. KIWA BCS Öko-Garantie GmbH

<https://www.kiwa.com/de/de/uber-kiwa/tochterfirmen/ansprechpartner-kiwa-bcs-oko-garantie-gmbh/scheme-manager-bcs/>



მოკლე აღწერა:

13 ინდივიდუალური ფერმერი და დამატებით 346 თხილის ფერმერი, რომლებიც ასევე არიან სერტიფიცირებული ჯგუფებად.

Green Caucasus აკრედიტებულია გერმანიის აკრედიტაციის ორგანოს - DakS (ყოფილი DAP) მიერ 2008 წლის იანვრიდან და ECOGLOBE-ისა და კავკასიის მიერ გაცემული სერტიფიკატები ლეგალურად არის აღიარებული ევროპულ ბაზარზე და შვეიცარიაში ორგანული წარმოების კომპეტენტური ორგანოების მიერ.

2020 წლის ბოლოს კავკასიის რეგულაციით გაიარა აკრედიტაცია გერმანული ISO-17065-ის მიხედვით, რაც საშუალებას აძლევს კომპანიას გააგრძელოს ორგანული სერტიფიკატების გაცემა პირველ ეტაპზე 2022 წლის ბოლომდე.

შპს კავკასიის ევროკომისიის მიერ უფლებამოსილია ვალიდურობა მიაწოდოს საკუთარ კლიენტებს და გასცეს ელექტრონული იმპორტის კონტროლის სერტიფიკატები TRACES-ში (ვაჭრობის კონტროლისა და საექსპორტო სისტემა).

კავკასიის მიერ სერტიფიცირებული ან ორგანულ სოფლის მეურნეობაზე გადასვლის პროცესში მყოფი ქართული კომპანიების განახლებული სია, მათი კულტივირებული პროდუქტებით და რეგიონების ჩამონათვალით, ხელმისაწვდომია ინტერნეტში (📄).

გარდა კავკასიისა, ორგანული პროდუქტები საქართველოდან ასევე სერტიფიცირებულია ნიურნბერგში დაფუძნებული სერტიფიცირების კომპანია KIWA BCS-ის მიერ.

KIWA-ს სათაო ოფისი მდებარეობს ნიდერლანდებში. აღნიშნული კომპანია ოპერირებს 35 ქვეყანაში, შედის ტესტირების, ინსპექტირებისა და სერტიფიცირების 20 წამყვან გლობალურ პროვაიდერში. სათაო ოფისი მდებარეობს ნიდერლანდებში, ფილიალები კი გერმანიაში. საქართველოში KIWA ადასტურებს ექსპორტზე ორიენტირებულ Georgia Natural Gruppe-ს და ასევე სხვა კომპანიებს.

აღმოსავლეთ საქართველოში, (კახეთის რეგიონი) ჯგუფი ამუშავებს 300 ჰა ფართობს, 15 სხვადასხვა ხილის, კენკროვანი, ბოსტნეულის და კაკლის სახეობას. (📄)

Kiwa BCS სამი კომპანიისთვის, კერძოდ Bio Suisse International, Naturland და Demeter-ისთვის ინსპექტირებას ახორციელებს მხოლოდ ასოციაციების სტანდარტების მიხედვით; სერტიფიცირებას ახორციელებენ თავად



გამოსახულება 15: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბიო ექსპერიმენტული ნაკვეთები

ასოციაციები. (📄)

## კვლევითი სამუშაო და კონსულტირება

სოფლის მეურნეობის სექტორში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის აღდგენის მიზნით, საქართველოს მთავრობამ 2014 წელს დააარსა სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი (SRCA). მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა

## ინფო

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი



<https://srca.gov.ge/en/about>

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი



<http://www.agruni.edu.ge>

„ორგანული სოფლის მეურნეობის წარმოების ხელშეწყობა“ და „ეკოლოგიურად უსაფრთხო საკვებისა და პროდუქტების ხელშეწყობა“ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა“. კვლევითი ცენტრი ასევე ზედამხედველობს ღვინის, ხეხილის და სატყეო კულტურების სხვადასხვა საჩვენებელ ნაკვეთებს. (4)

დღეისათვის საქართველოში არ არსებობს უნივერსიტეტი ორგანული სოფლის მეურნეობის სპეციალიზებული კურსით. მუშაუდული ფინანსური რესურსების და ტექნიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გამო, ორგანული წარმოება მიდრეკილია განიხილებოდეს თეორიულ და ზოგად მეცნიერულ კონტექსტში.

კასელის უნივერსიტეტის მდგრადი კვებისა და ლანდშაფტის კულტურის ხელშეწყობის ასოციაცია საქართველოში აქტიურობას 2006 წლიდან იწყებს, საქართველოში ორგანული სოფლის მეურნეობისა და ბუნების დაცვის მიმართულებით პირველი პროფესორის წოდების გამოცხადებით აგრარულ უნივერსიტეტში. მან დააფინანსა 3 პოსტი 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში და შექმნა ნიადაგისა და საკვების ანალიზის ლაბორატორია.

2011 წლიდან პროფესორი თეო ურუშაძე არის საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

2017 წელს აგრარულმა უნივერსიტეტმა ელვანასთან თანამშრომლობით გამოსცა "სახელმძღვანელო ორგანული სოფლის მეურნეობის შესახებ".

საქართველოს არსებული სხვა უნივერსიტეტები, რომლებიც ეწევიან ორგანულ წარმოებას:

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლამ (ISET) ცოტა ხნის წინ ჩაატარა კვლევა ორგანული თხილის პროექტის ფარგლებში (იხ. სექცია "ორგანული სერტიფიკატი"), რომელიც ფოკუსირებული იყო თხილის ორგანული წარმოების ღირებულების ჯაჭვში ცალკეული დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე.
- ასევე აღსანიშნავია კვლევითი საქმიანობა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში (GAAS), ლექციების სერია ბათუმის უნივერსიტეტში და პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტების სიდრმისეულ სწავლებას საზღვარგარეთ (გერმანია, პოლონეთი).

კასელის უნივერსიტეტის ეკოლოგიურ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დეპარტამენტმა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლამ დაიწყო მდგრადი სოფლის მეურნეობის და კვების სისტემების (SAFS) სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამა, როგორც გრძელვადიანი სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამა. Volkswagen Foundation გერმანიაში და რუსთაველის ფონდი საქართველოში აფინანსებენ SAFS-ს 4 წლის ვადით 2022 წლის იანვრამდე.

## განათლება და გადამზადება

საქართველოში მდგრადი ან ორგანული მეურნეობის მეთოდებს ჯერ კიდევ არ მოჰყოლია დიდი დაინტერესება არც პროფესიულ სასწავლებლებში (კოლეჯებში) და არც უნივერსიტეტებში. არის გარკვეული მცდელობები, მაგ. დუალური სისტემის დანერგვის, როგორც ეს

## ინფო

### პროფესორი, დოქტორი. თეო ურუშაძე

[t.urushadze@agruni.edu.ge](mailto:t.urushadze@agruni.edu.ge)

### Sustainable Agricultural and Food Systems (SAFS) Structured Doctoral Program

<http://www.safs-edu.org/>

 VolkswagenStiftung



### მოხალისეობრივი პროგრამები



- კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი CENN, ბუნების და გარემოს დაცვა

<http://www.cenn.org/>

- 1 წლიანი მოხალისეობა ელვანას ბიო მწარმოებელ ასოციაციასთან ერთად

<https://www.ein-jahr-freiwillig.de/stellen/biolandwirtschaftsverband-elkana-georgien/57498>

დიდი ხანია წარმატებით გამოიყენება გერმანიაში (მაგ. მევენახეობაში). ორგანული წარმოება 2019 წელს შევიდა განათლების სახელმწიფო სტანდარტებში - საკურსო მოდულების ვრცელი რაოდენობით - და პროფესიული სპეციალიზაციის კატალოგში. სტუდენტებს, რომლებიც დაასრულებენ ამ კურსებს, შეუძლიათ მიიღონ ხუთს-საფეხურიანი სწავლის პროფესიული სერტიფიკატი ორგანულ სოფლის მეურნეობაში, ორგანული კულტურების წარმოებაში ან მეცხოველეობის წარმოებაში. (USAID, 2020) ევროპული ცოდნის საქართველოში აკუმულაციის მიზნით, Brot für die Welt სთავაზობს მოხალისეებს განათლების სხვადასხვა შესაძლებლობებს. მინიმალური ასაკი: 18 წელი (↗) მაგალითად, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელში (ბუნების და გარემოს დაცვა) CENN-ში მოხალისეობა ასევე შესაძლებელია ერთი წლის განმავლობაში ორგანული მეურნეობის ასოციაცია ELKANA-სთან ერთად.

შევიცარიის პროტესტანტული ეკლესიის დახმარების ორგანიზაციის (HEKS) მხარდაჭერით, სართიჭალის პროფესიული სასწავლებელი კახეთში იმ დონემდეა მხარდაჭერილი, რომ 2022 წლიდან

დამოუკიდებლად იმართება. სართიჭალის სასწავლო ცენტრი გთავაზობთ ორწლიან თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას. სტუდენტები ასევე ესწრებიან შემდგომ სასწავლო კურსებს, მაგალითად, ორგანული მეურნეობის, ბიზნესის მენეჯმენტისა და მარკეტინგის, ასევე კრიზისების პრევენციის სფეროებში. გარდა თეორიული ნაწილისა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს პრაქტიკული მეცადინეობა. მასწავლებლები მოსწავლეებს ურჩევენ თავიანთ ფერმაში ნასწავლის პრაქტიკულ განხორციელებას და მხარს უჭერენ მათ ბაზარზე ორიენტირებულ წარმოებაში.

1995 წლიდან, LOGO e.V. (სოფლის მეურნეობა და ეკოლოგიური ბალანსი აღმოსავლეთ ევროპასთან) აქტიურად მუშაობს პროფესიული სწავლების, ბიომეურნეობისა და საერთაშორისო ურთიერთგაგების მიმართულებით. არაკომერციული ასოციაცია აწყობს სტაჟირებას და სემინარებს სტუდენტებისთვის ყოფილი სსრკ-ს სახელმწიფოებიდან და ახორციელებს პროექტებს ფედერალური მხარდაჭერით.

საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან ერთად, ინიცირებულია თანამშრომლობა, რომლის საფუძველზეც სტუდენტები გერმანიაში სტაჟირებით შეძლებენ ცოდნის გაღრმავებას.

## ინფო

სართიჭალის აგრარული სკოლა, კახეთი

<https://www.heks.ch/was-wir-tun/georgien/projekt-918043>

LOGO e.V.



— სტუდენტური სტაჟირება მწვანე სექტორის ორგანულ ფერმებზე გერმანიაში

<https://www.logoev.de/de/>

## დონორი პროექტები ბიოლოგიური აგროწარმოების მიმდინარე პროექტები საქართველოში (შერჩევა)<sup>7</sup>

ბიომეურნეობის ხელშეწყობა, სოფლის განვითარება და სოფლის მეურნეობის ბიომრავალფეროვნების დაცვა საქართველოში

- პროექტის პერიოდი: 2021 წლის იანვრიდან 2024 წლის ივნისამდე
- სპონსორი: ჰური მსოფლიოსთვის (Brot für die Welt), გერმანია

<https://www.brot-fuer-die-welt.de/>

ბიომეურნეობისა და აგროტურიზმის ხელშეწყობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, სიღარიბის შემცირება მდგრადი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გზით

- პროექტის პერიოდი: 2019 წლიდან 2023 წლამდე
- დონორი: ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA)

<https://www.entwicklung.at/laender/suedkaukasus/georgien>

ტრანსსასაზღვრო ქსელი შავი ზღვის აუზში სოფლის მეურნეობის პროდუქტების რეგიონული ორგანული ბრენდის განვითარებისთვის, ინტერნეტ კავშირის გაძლიერების მიზნით, ინფორმაციის გაცვლა და ტრენინგი მწვანე სოფლის მეურნეობაში

- პროექტის პერიოდი: 2020 წლიდან 2022 წლამდე
- დონორი: ევროკავშირი

<https://agreen-project.eu/>

**Green Economy: Sustainable Mountain Tourism and Organic Agriculture (GRETA),** ადგილობრივი ბიომეურნეობის ინიციატივების განვითარება სვანეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ზემო იმერეთში

- პროექტის პერიოდი: 2019 წლის აგვისტოდან 2023 წლის აპრილამდე
- სპონსორი: ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA)

<https://drive.google.com/file/d/1jD8ts38UhMG80ZkdaBdmq0jeEOaEVauc/view>

თხილის ორგანული კულტივირების ღირებულების ჯაჭვების განვითარება, სიღარიბის შემცირება და მდგრადი ეკონომიკური განვითარება დასავლეთ საქართველოში: იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და გურიაში

- პროექტის პერიოდი: 2018 წლიდან 2023 წლამდე
- დონორები: ჰაჰას ფონდი, შვეიცარია, შვეიცარიის პროტესტანტული ეკლესიის დახმარების ორგანიზაცია (HEKS / EPER), დანიის განვითარების სააგენტო (DANIDA)

<https://pakkafoundation.org/projekt-georgien-2/>

პროგრამა 50/50 ბიო-სერთიფიკატების მოპოვებასთან დაკავშირებული ხარჯების განაწილება

- პროექტის პერიოდი: 2019 წლიდან
- დონორი: USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამა, აშშ

<https://ge.usembassy.gov/tag/usaid-agriculture-program/>

<sup>7</sup> აღნიშნული შერჩევა ეფუძნება გერმანიის ვაჭრობისა და ინვესტიციის ორგანიზაციის (GTAI) მიერ ჩატარებულ კვლევას

# ბიოაგროწარმოება და მეზღუოება

## სერტიფიცირებული მეურნეობები

გოცას საგვარეულო მარნის ისტორია იწყება მე-20 საუკუნის დასაწყისში, როდესაც კონსტანტინე, ბექა გოცაძის ბაბუა, დასავლეთ საქართველოში ტრადიციული ღვინის დაყენება დაიწყო. დღეს, დედაქალაქ თბილისიდან არც თუ ისე შორს, ბექა ოჯახთან ერთად აგრძელებს მარნის მართვას სოფელ კიკეთში. ამჟამად ბექა გოცაძე 14 სხვადასხვა ჯიშის ყურძენს ამუშავებს 4 ჰა ვენახზე, რომელიც იდილიურად მდებარეობს 1300 მეტრ სიმაღლეზე, ალგეთის ეროვნული პარკის უშუალო სიახლოვეს.

გოცას ღვინოები ყოველგვარი დანამატებისგან თავისუფალია, თიხის ჭურჭელში (ქვევრის) თვითნებურად დუღდება. 2018 წლიდან გოცას ღვინოს აქვს მოპოვებული ბიო სერტიფიკატი ინსპექტირების ორგანოს Kiwa BSC-ის მიერ. ვენახი და მეღვინეობა იმართება DEMETER-ის ბიოდინამიკური სტანდარტის მიხედვით და 2020 წლიდან აღებული მოსავალი უკვე DEMETER სერტიფიცირებულია.<sup>8</sup>



გამოსახულება 16: ბექა გოცაძე მის ვენახში

## სანიმუშოდ სერტიფიცირებული ფერმები (შერჩევა)

შპს ბიო მეურნეობა ფონა დაარსდა 2014 წელს, რათა აეშენებინა მრავალფეროვანი ფერმა, რომელიც აწარმოებს ბიოდინამიკური სოფლის მეურნეობის პრინციპების მიხედვით. 2019 წლის შემოდგომიდან ბიო მეურნეობა ფონას მცენარეული პროდუქტები სერტიფიცირებულია კავკასიურების მიერ.

მეურნეობაში დასაქმებულია შვიდი ადამიანი რეგიონიდან და ასევე დამატებით მოხალისეები.

## ინფო

გოცას საგვარეულო  
მარანი

GOTSA WINES

— ელ. ფოსტა: bgotsa@gmail.com

<http://www.gotsawines.com/en/>

<https://www.facebook.com/profile.php?id=100009699964428>

## Bio Farm Pona - ბიო მეურნეობა ფონა

— მცენარეული პროდუქტები, სოფლის მეურნეობა

— საკონტაქტო პირი: ბარბარე გიმელი სულაშვილი  
Tel.: +995 599 33 44 32, ელ. ფოსტა: info@pona.bio

— ვიდეო-რგოლები ბიო მეურნეობა ფონას შესახებ:

<https://soplidan.ge/biomeurneoba-fona/>

<https://chaikhana.media/en/stories/991/reviving-the-wheat-fields>

<https://pona.bio/>



გამოსახულება 17: ბოსტნეულის წარმოება ბიო მეურნეობა ფონაში



გამოსახულება 18: ქართული ხორბლის ჯიშ „წითელი დოლი“.

- კულტურები (დაახლოებით 29 ჰა): ლუცერნი, შვრია, ბარდა, ჭვავი, სიმინდი, მინდვრის ლობიო, წიწიბურა და ხორბლის ტრადიციული ქართული ჯიშები “წითელი დოლი”, “თეთრი თავთუხი” და “ჩელტა ზანდური”.
- ბოსტნეული (დაახ. 2 ჰა კარტოფილის ჩათვლით): დაახლ. ღია გრუნტში და სათბურებში იზრდება 30 სხვადასხვა კულტურა.
- მეხილეობა (2 ჰა): ბროწეული (ვაშლი, მსხალი, ხურმა და ბროწეული, სხვადასხვა სახის კლიავი)
- მეფუტკრეობა: ბიო მეურნეობა ფონა ინარჩუნებს თავის ნაყოფიერებას რამდენიმე ფუტკრის კოლონიის წყალობით, რომლებიც “აწარმოებენ” გემრიელ თაფლს.

#### დამუშავება:

- ხილისა და მწვანე ნაზი გამრობა მვეიცარიული ტექნოლოგიით
- საკვების ქარხანა ორგანული კონცენტრირებული საკვების წარმოებისთვის

- წისქვილი ორგანული მთლიანი მარცვლეულის და სხვა ფქვილის წარმოებისთვის
- საცხობი ორგანული მთლიანი მარცვლეულის პურის და სხვა სპეციალობის პროდუქტების წარმოებისთვის.

#### გაყიდვები:

- პირდაპირ მაღაზიებში და ონლაინ მაღაზიებში, როგორცაა [soplidan.ge](https://soplidan.ge) (ს)
- დისტრიბუტორების მეშვეობით სასტუმროებსა და ჰიპერმარკეტებში. ანასეულის ჩაის ქარხანა, დაარსდა



გამოსახულება 19: ანასეულის ჩაის ბაღი გურიაში

## ინფო

ონლაინ მაღაზია [soplidan.ge](https://soplidan.ge) 

— Facebook: <https://www.facebook.com/soplidan>

<https://soplidan.ge/>

მ.პ.ს. ანასეულის ჩაის ფაბრიკა,  
ანასეული, გურია.



— ბიო სერტიფიკატი 2013 წლიდან  
— Tel.: +995599573073, ელ. ფოსტა: [anaseuli.tea@gmail.com](mailto:anaseuli.tea@gmail.com)

<http://tradewithgeorgia.com/companies/anaseuli-experimental-tea-fact-1>

ანასეულის ჩაის ქარხანა დაარსდა 1935 წელს. ის წარმოადგენს ერთ-ერთი უძველეს ჩაის საწარმოს საქართველოში. საქართველო ჩაის მწარმოებელი ერთ-ერთი ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანაა მსოფლიოში. შავი ზღვის ნოტიო და სუბტროპიკული ჰავა ქმნის იდეალურ პირობებს ჩაის კულტივირებისთვის დასავლეთ საქართველოს ხუთ რეგიონში: აჭარაში, გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში და აფხაზეთში.

